ხელშეკრულება 15

მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი „29" თებერვალი 2016 წელი

1. ზოგადი ნაწილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიზნეს აუდიტ სერვისი" მისი დირექტორის ფირუზი ჭოლიკაურის სახით (შემდგომში „შემსრულებელი"), ერთის მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქავტოტრანსი" მისი დირექტორის ზურაბ ადამიას სახით (შემდგომში „დამკვეთი") მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „დამკვეთი" ავალებს, ხოლო „შემსრულებელი" თავის თავზე იღებს გაუწიოს მას აუდიტორული მომსახურება, კერძოდ:

- განსაზღვროს ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. N11-ში არსებული საწარმოო შენობების და მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.19.18.001.009) 1კვ.მ ფართის საიჯარო ქირის ოდენობა.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. „დამკვეთი" ვალდებულია:

- მისცეს „შემსრულებელს" უტყუარი ახსნა–განმარტება შესასრულებელი სამუშაოს შესახებ და დროულად მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია მუშაობისას წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე/ყველა კითხვაზე.
- ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს „შემსრულებელს" მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება.

3.2. „შემსრულებელი" ვალდებულია:

- ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება და მიაწოდოს „დამკვეთს" ინფორმაცია, დასკვნების სახით.

4. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. მხარეთა შეთანხმებით მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია 150 (ასორმოცდაათი) ლარით დამატებული ღირებულების გარეშე.

4.2. მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შესაბამისი დასკვნის ჩაბარებიდან არაუგვანეს 5 კალენდარული დღისა, აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. „დამკვეთის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობასა და სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება „დამკვეთს“.

5.2. „შემსრულებელი“ პასუხისმგებლობას კისრულობს მის მიერ შესრულებული სამუშაოს სისწორეზე „დამკვეთის“ წინაშე, მისი მიზეზით დარიცხული საჯარიმო სანქციებისათვის, მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ფარგლებში.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა სადავო საკითხი წყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლო წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედება

7.1. ხელშეკრულების პირობები შესაძლოა შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმდება ამ ხელშეკრულების დანართის სახით.

7.2. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 29 თებერვლიდან მხარეთა მიერ მისი პირობების შესრულებამდე.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად, ხელმოწერილია მხარეთა მიერ და ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

<u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

შპს „ბიზნეს აუდიტ სერვისი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 406031841 ქ. თბილისი; სანზონა; კორპ. 13; ბ9 სს „თიბისი ბანკის“ TBCBGE22 GE76TB7090136020100012/GEL ფირუზი ჭოლიკაური _____	შპს „საქავტოტრანსი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 211345089 ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 57 სს „საქართველოს ბანკი“ BAGAGE22 GE43BG0000000316812900 ზურაბ ადამია _____